მემორანდუმი 13/10/26

ქ.თბილისი 26 10 2013 წელი

ა(ა)იპ „მრავალეროვანი საქართველო დემოკრატიული ღირებულებების განმტკიცებისათვის“ (შემდგომში „არასამთავრობო ორგანიზაცია“), და შპს "თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტს" (შემდგომში „უნივერსიტეტი“) შორის ურთიერთთანამშრომლობის შესახებ

შეთანხმების მხარეები:

ერთის მხრივ,
ა(ა)იპ „მრავალეროვანი საქართველო დემოკრატიული ღირებულებების განმტკიცებისათვის“ (შემდგომში „არასამთავრობო ორგანიზაცია“), რომელსაც წინამდებარე მემორანდუმის მიზნებისათვის წარმოადგენს მისი პრეზიდენტი, რიტა პროკოპენკო
მეორეს მხრივ,
შპს "თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი", რომელსაც წინამდებარე მემორანდუმის მიზნებისათვის წარმოადგენს მისი რექტორი, პროფესორი ვალენტინა საყვარელიძე.

მოქმედი კანონმდებლობისა და მხარეების სადამფუძნებლო დოკუმენტებით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე მემორანდუმს ურთიერთანამშრომლობის შესახებ.

მუხლი 1
დოკუმენტზე ხელმომწერი მხარეები ვაცნობიერებთ:
1.1.უმაღლესი განათლების სფეროში სოციალური პარტნიორობის აუცილებლობასა და მნიშვნელობას;
1.2.შრომის ბაზრის მოთხოვნებთან უმაღლესი განათლების სისტემის მორგებულობის აუცილებლობას;
1.3 სოციალური პარტნიორობის როლს კონკრეტული პროფესიების და სპეციალობების (ჰუმანიტარული მეცნიერებები, უცხო ენები და სხვ.) განვითარებაში;
1.4 ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებას.

მუხლი 2.
მხარეთა უფლება-მოვალეობები
2.1."უნივერსიტეტი“ უზრუნველყოფს არსებული საგანმანათლებლო პროგრამების (ევროპეისტიკა, სლავური ფილოლოგია და სხვ.) განვითარებაში „არასამთავრობო ორგანიზაციის“ მონაწილეობას სტუდენტების მომზადებაში თანამედროვე და პერსპექტიული მოთხოვნების გათვალისწინების მიზნით.
2.2. „მხარეები“ უზრუნველყოფენ შრომის ბაზარზე ორიენტირებული ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას.

2.3."უნივერსიტეტი" უზრუნველყოფს სწავლების პროცესში „არასამთავრობო ორგანიზაციის" აქტიურ ჩართულობას.
2.4. „მხარეები" უზრუნველყოფენ საწარმოებში ან სხვა სტრუქტურებში მომუშავე სპეციალისტების მოწვევას უნივერისტეტში ლექციების წასაკითხად.
2.5. „არასამთავრობო ორგანიზაცია" უზრუნველყოფს სტუდენტების სტაჟირებას, პრაქტიკას, უცხო ენების (ინგლისური და სხვ.) სრულყოფას.
2.6. „არასამთავრობო ორგანიზაცია" ხელს შეუწყობს კურსდამთავრებულების დასაქმებას.
2.7. „მხარეები" ერთობლივად შეიმუშავებენ სასწავლო და სამეწარმეო პარტნიორობის წამახალისებელ მექანიზმებს.
2.8. „მხარეები" ერთობლივად უზრუნველყოფენ მემორანდუმით გათვალისწინებული საკითხების მონიტორინიგს.

მუხლი3.

მემორანდუმის მოქმედების ვადა

მემორანდუმი ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს „მხარეთა" მიერ სხვა გადაწყვეტილებების მიღებამდე.

მუხლი 4.

მემორანდუმის შეწვეტა/მოშლა

მემორანდუმი შეწყვეტილად ითვლება:
4.1.მემორანდუმით გათვალისწინებული ვადის გასვლისას;
4.2.მხარეთა მიერ ახალი მემორანდუმის დადების შემთხვევაში, რომლითაც ძალადაკარგულად იქნება გამოცხადებული წინამდებარე ხელშეკრულება.
4.3.მემორანდუმის ვადამდე მოშლა შესაძლებელია ერთ-ერთი მხარის ინიციატივით.
მემორანადუმის მოშლა ფორმდება წერილობითი ფორმით.

მუხლი 5.
სხვა პირობები

5.1.მემორანდუმი შედგენილია ორი თანაბარი იურდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად ქართულ ენაზე და ინახება „მხარეებთან".
5.2. ამ მემორანდუმის კონკრეტული პირობების ცვლილებები ხორციელდება მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, წერილობითი ფორმით. რომელიც მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.
5.3. ნებისმიერი საკითხი, რომელიც არ არის რეგულირებული წინამდებარე მემორანდუმით, შესაძლებელია გადაწყდეს მხარეთა მოლაპარაკების და კონსულტაციების გზით.

წინამდებარე მემორანდუმის პირობებზე შეთანხმების დასადასტურებლად მემორანდუმს ხელს აწერენ:

მხარეთა რეკვიზიტები:

ა(ა)იპ „მრავალეროვანი საქართველო დემოკრატიული ღირებულებების განმტკიცებისათვის“
პრეზიდენტი,რიტა პროკოპენკო
ქ.თბილისი, გ.ტაბიძის 3/5
(ხელმომწერი პირის გაშიფვრა)
ბ.ა.

შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი
თბილისი, 0144, ქ.ჩოლოყაშვილის ქ.53
რექტორი ვალენტინა საყვარელიძე
(ხელმომწერი პირის გაშიფვრა)
ბ.ა.